

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№25

ქ. თბილისი; 10 ივლისი, 2018 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

ნინო ლაცაბიძე
დავით ჭელიძე
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი
თავართქილაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო
სამსახურის უფროსი - რუსუდან მირზიკაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი
- მამუკა მუმლაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი

დღის წესრიგი

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
2. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.01.001.179) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 27 ივნისის №18.453.719 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქალაქო სასამართლოს მიმდებარედ 27 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 01.72.14.034.999) და ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩაზე მდებარე 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 01.14.16.015.292) შპს „ფაზტრანსგაზ-თბილისისთვის“ (ს/ნ: 205129617) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 27 ივნისის N18.441.722 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
4. „ქ. თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის შესახვევი #3-ში (საკადასტრო კოდები: #72.12.01.766.01.501 და #72.12.01.766.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 27 ივნისის #18.445.739 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
5. „ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუს № 5-ში (საკადასტრო კოდი № 01.14.06.007.036.01.1466) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის № 18.475.773 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. „ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-2 მიკრორაიონში, ჟღენტის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.02.016.010.01.522) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის №18.474.774 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
7. „ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.037.01.138) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის N18.473.775 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
8. „ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანი/ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის №86-90-ის მიმდებარედ არსებული 634 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.002.035) 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „ანტრე 2008“-ისთვის (ს/კ: 204549792) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის №18.494.790 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
9. „ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი N28-ის მიმდებარედ არსებული 45კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.010.042) შპს „მაქრო ქონსორაქშენისთვის“ (ს/კ 445433120) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის N18.499.785 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
10. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ქარვის ბარისთვის“ (ს/კ 402041009) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის №18.496.788 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
11. „ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.015) შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის“ (ს/კ 405190742) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4

ივლისის №18.492.792 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №81-87-ის მიმდებარედ არსებული 425 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.003.088) 38 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „ფარმაციათვის“ (ს/კ 202191840) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის №18.491.794 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
13. „ქ. თბილისში, ზაარბრიუკენის მოედანი N2-ის მიმდებარედ 76 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.035.006) შპს „ტიფლის ფაბისთვის“ (ს/კ 405229792) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის N18.493.791 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
14. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.029) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „მაის ბარ რესტორნებისთვის“ (ს/კ 406196986) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის №18.497.787 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
15. „ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.009.032) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ბერნინისთვის“ (ს/კ 400189666) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის №18.495.789 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
16. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.031.029) 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „ფარასისთვის“ (ს/ნ: 400219269) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის N18.498.786 განკარგულებაზე

თანხმობის მიცემის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა - **რუსუდან მირზიკაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფის მიზნით დედაქალაქის არსებული ურბანული განვითარება საჭიროებს განაშენიანების რეგულირების ახალი პრინციპების დადგენას, ურბანული დაგეგმარების პროცესში სატრანსპორტო და გამწვანების საკითხების ინტეგრაციას, გამწვანებისა და სარეკრეაციო სივრცეების ზრდას, განაშენიანების პროცესში სატრანსპორტო პოლიტიკის გათვალისწინებას, ასევე ქალაქგეგმარებითი კვლევის პროცესისა და ადმინისტრაციული წარმოების წესის სრულყოფას.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად, მოხდება ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მონაწილეობის როლის მკაფიო განსაზღვრა, რამდენადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების ამოქმედებიდან განვლილ დროში, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის მიერ განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპის განხორციელებისას, სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სამსახურის ჩართვა სავალდებულოა შემდეგ შემთხვევებში:

- გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;
- თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, სპორტული შენობა-ნაგებობების, თეატრის, კინოთეატრის, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის, საკულტო ნაგებობისა და სამედიცინო დაწესებულებების განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ითხოვა, დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დაზუსტება და მისი კორექტირება. აღნიშნული ქვეპუნქტით ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლში და ემატება 5¹ პუნქტი.

საკითხის წარმომდგენის მითითებით, საქართველოს მთავრობის რეკომენდაციის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებასთან შესაბამისობის მიზნით, სასურველია მოხდეს რამდენიმე ობიექტის, კერძოდ სპორტული შენობა-ნაგებობების, თეატრის, კინოთეატრის და სამედიცინო დაწესებულებების, სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სამსახურის კვლევის ობიექტად დატოვება. შესაბამისად მომხსენებელმა ითხოვა ზემოაღნიშნული პუნქტის დაკორექტირება და შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება:

„ბ) მე-9 მუხლს მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„5¹. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციულ წარმოებაში სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სამსახურის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ.-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).“

კომისიის წევრები დაეთანხმნენ ზემოაღნიშნულ თხოვნას კორექტირების თაობაზე.

რუსუდან მირზიკაშვილმა, აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით განსახორციელებელი ცვლილებების შედეგად, თუ განაშენიანების რეგულირების გეგმაში უნდა განხორციელდეს არაარსებითი ცვლილება, აღნიშნულ შემთხვევაში სატრანსპორტო ან გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სამსახურის ჩართვა სავალდებულო აღარ იქნება.

საკითხის წარმომდგენმა ასევე აღნიშნა, რომ თბილისის მერიის სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სავალდებულო ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ პარამეტრების მატების შედეგად მიიღება 5000 კვ.მ-ზე მეტი ფართობის შენობა-ნაგებობები ან ამავე კვადრატულობის შენობა-ნაგებობებზე, როგორც საგამონაკლისო დასაშვებ სახეობაზე ხორციელდება სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ცვლილება შედის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ წესის მე-8 მუხლის მე-12 პუნქტში, რომლის მიხედვითაც განაშენიანების რეგულირების წესებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, წინასაპროექტო კვლევა უნდა მოიცავდეს, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემას საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით და საპროექტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასებას არსებულ საკვლევ საგზაო ინფრასტრუქტურაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით, თუ დღეს მოქმედი რედაქციით განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული და ამ უფლებამოსილების განხორციელებისას სამსახური ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართოს სატრანსპორტო და გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული, ცვლილების შემთხვევაში სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა მოხდება, მხოლოდ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, ასევე ზუსტდება სატრანსპორტო და გარემოს დაცვაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობა ფუნქციური ზონის ცვლილების პროცესში, აღნიშნული სამსახურები ჩაერთვებიან თემატურად, მათ მმართველობას მიკუთვნებული საკითხების განხილვისას.

ქალბატონმა რუსუდანმა განაცხადა, რომ განსახორციელებელი ცვლილებების შედეგად, ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გადამეტება დასაშვები ხდება ასევე დედაქალაქის

განვითარებასთან დაკავშირებული ისეთი სოციალური ინტერესის მოტივით, როგორიცაა მწვავე ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლება. ამგვარი გადაწყვეტისას ურბანული გარემო და ქალაქმშენებლობითი ინტერესებიც უნდა იქნას გათვალისწინებული.

ქალბატონმა რუსუდანმა იქვე დასძინა, რომ ქალაქის სწორი განვითარებისა და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურით მაღალი ინტენსივობის ტერიტორიების უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი პროექტით საცხოვრებელ ზონა 5-ს, საცხოვრებელ ზონა-6-ს, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ს და საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ს სპეციალური ზონალური შეთანხმებით დაშვებულ სახეობას ემატება „სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი“.

დასასრულს, რუსუდან მირზიკაშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები არ ზღუდავს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უღებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტის პროცესში, მოითხოვოს საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება.

აზრი გამოთქვას:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - ნინო ლაცაბიძე დაინტერესდა, იმ არსებითი და არაარსებითი ცვლილებების განსაზღვრის თაობაზე, რომელიც განსაზღვრავს სავალდებულო თუ არა სატრანსპორტო პოლიტიკაზე უღებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა.

მომხსენებელი თქმით, ტრანსპორტის სამსახურის ჩართულობა მოხდება ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების დროს როგორიცაა; განაშენიანების ინტენსივობის ზრდა, შენობა-ნაგებობების ფუნქციისა და განთავსების ცვლილება, სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზების ცვლილება და სხვა.

ნინო ლაცაბიძე ასევე დაინტერესდა, ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გადამეტებასთან დაკავშირებით, მწვავე ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების დროს, ხომ არ იქნება უმჯობესი, ლევან სამხარაულის ექპერტიზის დასკვნის მიხედვით, შენობის ავარიულობის ხარისხის მითითება.

მომხსენებლის განმარტებით, ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების დროს დადასტურებულია, რომ შენობა-ნაგებობის ავარიულობა გახლავთ მეხუთე კატეგორიის რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. შესაბამისად შენობის ავარიულობის კატეგორიის მითითება მიზანშეწონილი არ არის.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, აუცილებელია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის კორექტირების პარალელურად, მასთან შესაბამისობაში მოვიდეს დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც ახალი რედაქციით აყალიბებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-8 პუნქტს. აღნიშნული პუნქტის საფუძველზე, ასევე უნდა მოხდეს სპორტული შენობა-ნაგებობების, თეატრის, კინოთეატრის და სამედიცინო დაწესებულებების, სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სამსახურის კვლევის ობიექტად დატოვება.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

დასასრულს კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში, მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ნაცვლად, მიეთითოს მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

გადაწყვეტის:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა**.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების/წინადადების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.01.001.179) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 27 ივნისის №18.453.719 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლას, მოქალაქე, გივი ამბრიაშვილის საკუთრებაში არსებულ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2767 კვ.მ. (ს/კ: №72.16.20.099) მიწის ნაკვეთში.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, აღნიშნული განპირობებულია იმ მოტივით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური, არ

მიიჩნევს მიზანშეწონილად გივი ამბრიაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებას.

საკითხის წარმოდგენმა აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნებით: 2767 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ საორიენტაციოდ შეადგინა 195977 (ას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ცხრაას სამოცდაჩვიდმეტი) ლარი, ხოლო, 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 205153 (ორას ხუთი ათას ას ორმოცდაცამეტი) ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, სოფელ თხინვალაში მდებარე 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი, როგორც გაცვლას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობა, რომლის გადახდაც უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის ვადაში.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჯოლიანმა განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.01.001.179) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხისა და დაინტერესებულ პირთან - გივი ამბრიაშვილთან (პ/ნ: 01009003021) გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე”

ბატონი ლევანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა გასწორდეს დაშვებული შეცდომები და ვინაიდან, საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი არ არსებობს, ამოღებულ იქნას სამართლებრივი საფუძვლებიდან, ხოლო, ამავე კოდექსის 118¹ მუხლის >მე-5 პუნქტების< ნაცვლად მიეთითოს - “მე-5 პუნქტი”.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესი, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს შემდეგნაირად:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტისა და მე-5 მუხლის მიხედვით“.

რამდენადაც, აღნიშნული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, გაცვლის ფორმით პრივატიზება შეიძლება განხორციელდეს როგორც საპრივატიზებო საფასურით, ასევე საპრივატიზებო საფასურის გარეშე. მე-4 პუნქტის მიხედვით კი, თუ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება გასაცვლელი ქონების საბაზრო ღირებულებას, გაცვლის ფორმით პრივატიზება ხორციელდება საპრივატიზებო საფასურით, აუდიტორული (ექსპერტის) დასკვნით დადგენილი საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობით.

ხოლო, წესის მე-5 მუხლის მიხედვით:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონება შესაძლებელია საკუთრებაში გადაეცეს ფიზიკურ ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირს მის საკუთრებაში არსებული ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ (გაცვლა);
- ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით;
- გაცვლის ფორმით პრივატიზებით, თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება სხვა ქონების თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ ხელშეკრულების გაფორმებით, რომელსაც ქ. თბილისის მთავრობის სახელით დებს სააგენტო, ქ. თბილისის საკრებულოს თანხმობის გაცემიდან 3 თვის ვადაში.

გადაწყვეტის:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა**.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, საქალაქო სასამართლოს მიმდებარედ 27 კვ.მ

მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 01.72.14.034.999) და ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩაზე მდებარე 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 01.14.16.015.292) შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისთვის“ (ს/ნ: 205129617) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 27 ივნისის N18.441.722 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მიმართა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სპეციალურმა მმართველმა გიგლა თამაზაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქალაქო სასამართლოს მიმდებარედ 27 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩაზე მდებარე 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა, რამდენადაც აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ გაზის აღრიცხვის მოწყობილობა და გაზგამანაწილებელი სადგური, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის გაზით უწყვეტ და სტაბილურ მომარაგებას.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, აღნიშნული უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით, გადაცემული იყო შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისთვის“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 11 მარტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 3 ივნისის განკარგულების საფუძველზე.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონება, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ გადაეცემა 2 წლის ვადით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქალაქო სასამართლოს მიმდებარედ 27 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 01.72.14.034.999) და ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩაზე მდებარე 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 01.14.16.015.292) შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისთვის“ (ს/ნ: 205129617) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.“

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122¹ მუხლის მე-8 პუნქტი.

ბატონმა ლევანმა ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს, რომ დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით, გადაცემაზე თანხმობის მიცემა ხორციელდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 27 ივნისის N18.441.722 განკარგულების დანართით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების შესაბამისად. ბატონი ლევანის თქმით, აღნიშნული განკარგულების პროექტის პირველ პუნქტს ჩამოაყალიბებს ახალი რედაქციით, რაც ასახულია კომისიის დასკვნაში.

გადაწყვეტის:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის შესახვევი #3-ში (საკადასტრო კოდები: #72.12.01.766.01.501 და #72.12.01.766.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 27 ივნისის #18.445.739 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის შესახვევი #3-ში მდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ირაკლი თავართქილაძემ დაამატა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობები.

აზრი გამოთქვას:

ფრაქციის „ევროპული საქართველო- თბილისი“ წევრმა ელენე ოზაშვილის განცხადებით, წარმოდგენილი საკითხის დარეგულირების მიზნით, უმჯობესი იქნებოდა რაიმე წესის შემუშავება, რომელიც დაადგენდა გარკვეულ კრიტერიუმებს.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, წარმოდგენილი საკითხის გადაწყვეტა გახლავთ სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილი კეთილი ნება და განიხილება როგორც სოციალური პროექტი. ბატონი ლევანის თქმით, თუკი განხორციელდება აღნიშნული საკითხის გარკვეული კრიტერიუმებით დარეგულირება, აღნიშნული შესაძლებელია მოსახლეობამ აღიქვას, როგორც სახელმწიფოს ვალდებულება, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს შეჭრის ფაქტების წახალისება.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ქ. თბილისში, ზაპესის დასახლებაში, ავჭალის შესახვევი #3-ში (საკადასტრო კოდები: #72.12.01.766.01.501 და #72.12.01.766.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

გადაწყვეტის:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუს № 5-ში (საკადასტრო კოდი № 01.14.06.007.036.01.1466) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის №18.475.773 განკარგულებაზე

თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუს № 5-ში მდებარე 14,78 კვ.მ. ფართის, სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე გულბენიზ ბალაევასთვის (პირადი № 01095000048) საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებელმა დაამატა, რომ საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია ვაკის რაიონის წერილობითი შუამდგომლობა.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებს მიზანშეწონილია დაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;

ბატონი ლევანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებს მიზანშეწონილია ასევე დაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 75-ე მუხლის „და“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც მთავრობა ამ კანონითა და თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ;

კომისიის თავმჯდომარემ იქვე დასძინა, რომ ასევე, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტს დაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118¹ მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც თბილისის უძრავი ქონების, აქციებისა და წილების პირდაპირი განკარგვის ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ხელშეკრულების პირობებს განსაზღვრავს მთავრობა თბილისის საკრებულოს თანხმობით. თბილისის უძრავი ქონების, აქციებისა და წილების პირდაპირი განკარგვის ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება ხდება მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენლის (რწმუნებულის) მეშვეობით ან ამ მიზნით თბილისის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით, რომელიც თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემიდან 3 თვის ვადაში, მთავრობის სახელით დებს ხელშეკრულებას;

კომისიის თავმჯდომარემ დაამატა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიზანშეწონილია მიეთითოს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს № 21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, ხელშეკრულების/პრივატიზების პირობებსა და საპრივატიზებო ფასს განსაზღვრავს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო საკითხს ამზადებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო);

ბატონი ლევანის თქმით, განკარგულების სამართლებრივ სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვით, საპრივატიზებო პირობებს განსაზღვრავს ქ.თბილისის მთავრობა და ითანხმებს თბილისის საკრებულო.

როგორც სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუს №5-ში (საკადასტრო კოდი № 01.14.06.007.036.01.1466) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე”;

ლევან ჟორჟოლიანმა იქვე დასძინა, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტს უნდა დაემატოს მითითება, რომ საპრივატიზებო საფასური განსაზღვრულია - სიმბოლური ფასის 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის

